

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი № 93

20 მაისი 2025 წ.
12:00 სთ

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ლევან არველაძე,

კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან დავითაშვილი, თამარ ჩახვაშვილი, ნინო ვარდოსანიძე, მიხეილ კაკაურიძე, საბა ბუაძე, ირაკლი ნადირაძე.

მოწვეული სტუმრები:

სსიპ ქონების მართვის სააგენტო-სერგო ბირკაძე, ნესტორ ლაბარტყავა

საფინანსო საქალაქო სამსახური-გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა

კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან არველაძე

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის № 49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. (საკრ.№12-032513953-03 19/05/2025)
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების, შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ. (საკრ.№15-032513954-03 19/05/2025 (№11-01251392425))
3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. (საკრ.№12-032513512-03 15/05/2025)
4. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მრევლიშვილის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.165) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“. (საკრ.№12-032511833-03 28/04/2025)
5. „ქალაქ თბილისში, უცნობ გმირთა ქუჩა N57-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.21.001.229) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“. (საკრ.№12-032510736-03 17/04/2025)
6. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N5-სა და კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდები: N01.16.09.001.001 და N01.16.09.001.020) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრ.№16-032512227-03 05/05/2025)
7. „ქალაქ თბილისში, ბუაჩიძის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.003.029) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრ.№12-032513540-03 15/04/2025)
8. „ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.010.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N73 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.010.006.01.564) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“. (საკრ.№12-032513346-03 14/05/2025)
9. „ქალაქ თბილისში, მთისძირის ქუჩა N101-ის მიმდებარე არსებული 39.96 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.08.004.034.01.500) და 4.14 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.08.004.033.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (საკრ.№12-032513346-03 14/05/2025)

10. ქ. თბილისში, ბოჭორიშვილის ქ. N20-ის მიმდებარედ N01.11.12.019.203 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 11 350 კვ. მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „მილენიუმისთვის“ (ს/ნ 400265208), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ. (საქრ.№12-032507252-03 14/03/2025)

11. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.031.01.026) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (საქრ.№12-032513346-03 14/05/2025)

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

(საქრ.№12-032513539-03 15/05/2025)

13. ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. N5ა-ში არსებული N1 ბინის, N8 ბინის, N10 ბინის (საკადასტრო კოდები: N01.14.15.001.300.03.03.510; N01.14.15.001.300.03.03.506; N01.14.15.001.300.03.03.010) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (საქრ.№15-032513544-03 15/05/2025)

14. ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. N12-ში მდებარე N162 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197.01.03.162) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საქრ.№15-032513546-03 15/05/2025)

15. ქ. თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N1-ში არსებული 25 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.03.062.018) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „საჩინოსთვის“ (ს/ნ: 204380776) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. (საქრ.№12-032513347-03 14/05/2025)

16. ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირი N7-ის მიმდებარედ 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.084) პირდაპირი განკარგვის წესით, გელა გოცირიძისთვის (პ/ნ: 01012026939) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. (საქრ.№12-032512016-03 30/04/2025)

17. ქ. თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი N10-ის მიმდებარედ 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.14.014.018) პირდაპირი განკარგვის წესით, თეკლე ცხველიანისთვის (პ/ნ: 01024051352) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. (საქრ.№12-032512016-03 30/04/2025)

18. ქ. თბილისში, მუხრანის ქუჩა N1/ქ.თბილისში, ჩარგლის ქუჩა N37-ის მიმდებარედ 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.09.001.011) პირდაპირი განკარგვის წესით, ეთერ ჩორგოლიანისთვის (პ/ნ: 01002006282) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე (საქრ.№12-0325161-03 6/05/2025)

19. ქალაქ თბილისში, გამრეკელის ქ. N3-ის მიმდებარედ არსებული 15 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.17.003.029) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიარ ჯორჯიასთვის“ (ს/ნ 206152688) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საქრ.№12-032513345-03 13/05/2025)

20. ქ. თბილისში, ერეკლე II ქუჩაზე არსებული 1136 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.045.019) 32 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ინგა ხელაიასთვის (პ/ნ: 62007014706) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. (საქრ.№12-032513347-03 14/05/2025)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის № 49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი-გაიოზ თალაკვაძე

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ: იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში პროცენტებიდან მისაღები შემოსავლები - 8 799,0 ათასი ლარით და მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 15 000,0 ათასი ლარით, ხოლო მცირდება სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 10 000,0 ათასი ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება სულ 13 799,0 ათასი ლარით და შეადგენს 2 209 347,5 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და რაიონის გამგებების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) ქვეპროგრამის ასიგნებები - 200,0 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები - 14 500,0 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) – 1 300,0 ათასი ლარით, საშუაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) ქვეპროგრამის ასიგნებები - 250,0 ათასი ლარით, უკანონო ნაგებობების დემონტაჟი (კოდი 02 09 09) – 200,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) – 500,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) – 400,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) – 500,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანის რაიონში (კოდი 02 09 18) – 150,0 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები - 17 100,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) ქვეპროგრამის ასიგნებები – 100,0 ათასი ლარით, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსება (კოდი 06 01 05) – 700,0 ათასი ლარით, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) – 100,0 ათასი ლარით, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) – 300,0 ათასი ლარით, ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) – 500,0 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) – 100,0 ათასი ლარით, 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 05) – 100,0 ათასი ლარით, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი 06 02 09) – 500,0 ათასი ლარით, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 427,0 ათასი ლარით, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნებები – 300,0 ათასი ლარით, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) ქვეპროგრამის ასიგნებები – 400,0 ათასი ლარით, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) – 2 500,0 ათასი ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 1 578,8 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) – 400,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანის რაიონში (კოდი 08 11 09) – 150,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდული ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 08 11 10) – 50,0 ათასი ლარით, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) – 4 000,0 ათასი ლარით.

მცირდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 21 800,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) – 25,0 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) პროგრამის ასიგნებები - 900,0 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) – 10 756,8 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) ქვეპროგრამის ასიგნებები – 25,0 ათასი ლარით.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში ასახულია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 17 აპრილის N25.642.719 განკარგულების ნაწილი, რომლის თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტის - ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება ფარგლებში გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ჩამონათვალში პროგრამას - საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების პროექტირება, მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) სახელწოდება შეეცვალა და განაწილდა შემდეგ ქვეპროგრამებად: საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01 01) და სადგურის მოედნისა და დადიანის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის პროექტირება და მშენებლობა (კოდი 02 01 02), ხოლო პრიორიტეტის - ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ფარგლებში გათვალისწინებული პროგრამების ჩამონათვალში პროგრამა - მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) განაწილდა შემდეგ ქვეპროგრამებად: მერიის ადმინისტრაციის ხარჯები (კოდი 10 02 01) და საოფისე ადმინისტრაციული შენობისა და მონაცემთა დამუშავების ცენტრის პროექტირება - მშენებლობა (კოდი 10 02 02) (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის 2025 წლის 15 აპრილის N91 სხდომის ოქმი).

გარდა ამისა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო (კოდი 10 21) პროგრამის ფარგლებში, გაიზარდა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა 9 ერთეულით, ხოლო მუნიციპალური ინსპექციის (კოდი 10 07) მომუშავეთა რიცხოვნობა მცირდება 2 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში გაიზარდა 7 ერთეულით და განისაზღვრა 4970 ერთეულით.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-მიხეილ კაკაურიძემ.

გადაწყდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის № 49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების, შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ.

მომხსენებელი-ლევან მიქავა.

ლევან მიქავას მოხსენებით, რაიონული გამგეობები ითხოვენ მათთვის მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში კვარტალურ ცვლილებებს.

საბურთალოს რაიონში გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების კუთხით საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მისამართებთან ერთად დაგეგმილია ოდიშელიძის ქუჩაზე, სადაც პირველ ეტაპზე წყლისა და წყალარინების ქსელის მოწყობა უნდა განახორციელოს კომპანია შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდამ“. დღეის მდგომარეობით, კომპანიის მხრიდან მიმდინარეობს სანებართვო დოკუმენტაციის მომზადება, შესაბამისად, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება შემოხსენებული გარემოების გათვალისწინებით ვერ მოესწრება მიმდინარე კვარტალში. შესაბამისად, მიზანშეწონია გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოებში გათვალისწინებული ფინანსური რესურსის ნაწილი 216 333.96 ლარი II კვარტლიდან გადატანა III კვარტალში. ამასთანავე, ტროტუარებზე მოძრაობის შემზღუდავი ბარიერების მოწყობის სამუშაოებში შესასრულებელი სამუშაოების ასანაზღაურებლად სჭირდებათ 15 485.53 ლარის გადმოტანა II კვარტალში III კვარტლიდან. გზების ფრაგმენტული (ორმოული) შეკეთების სამუშაოებში შესაძლებელი გახდა დაგეგმილი სამუშაოების დროზე ადრე ჩატარება, შესაბამისად, II კვარტალში შესრულებული სამუშაოების ასანაზღაურებლად ესაჭიროებათ დამატებით 200 848.43 ლარის გადმოტანა III და IV კვარტლებიდან.

მომხსენებლის განმარტებით, მიმდინარე კვარტალში, მოსახლეობის თხოვნით შეიქმნა საჭიროება არაერთი ღონისძიების ("ვარდობისთვე საბურთალოზე", "დიდგორობა") ჩატარებისა და ინვენტარის შესყიდვის. შესაბამისად "კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები საბურთალოს რაიონში" ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების გეგმაში, მესამე კვარტლიდან 24 992 ლარის გადმოტანა ხდება მეორე კვარტალში.

დიდუბის რაიონის გამგეობას ესაჭიროება კვარტალური და მუხლობრივი ცვლილებების განხორციელება პროგრამებში „გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში“ (01.01.10) და „კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში“ (02.09.12) კერძოდ: მიმდინარე და დაგეგმილი საგზაო სამუშაოების დასაფინანსებლად პროგრამაში „გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში“ (01.01.10) მეოთხე კვარტლის გეგმის საქონელი და მომსახურების ხარჯიდან (2.2) 50 000 ლარის გადმოტანა მეორე კვარტლის ანალოგიურ ხარჯში (2.2). კეთილმოწყობის სამუშაოების დასაფინანსებლად პროგრამაში „კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში“ (02.09.12) საჭიროა 1 800 000 ლარის გადმოტანა მეოთხე კვარტლის არაფინანსური აქტივებიდან (31) მეორე კვარტლის ანალოგიურ ხარჯში; ასევე პროგრამაში „კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში“ (02.09.12) იმის გათვალისწინებით, რომ სადემონტაჟო ავტოფარეხების დიდი ნაწილი განთავსებული იყო მუნიციპალურ ტერიტორიაზე და მათი დემონტაჟის სამუშაოების დაფინანსება გასაწევი მომსახურების შინაარსიდან გამომდინარე უნდა განხორციელდეს საქონელი და მომსახურებიდან, საჭიროა მეორე კვარტლის გეგმის კაპიტალური ხარჯიდან (2.8.2.2) 180 000 ლარის გადმოტანა საქონელი და მომსახურებაში(2.2).

პროგრამაში- "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში" (05 01 10) - მეორე კვარტლის გეგმას ემატება 28543 ლარი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს სახურავების, ლიფტების და წყალკანალიზაციის სარეაბილიტაციო სამუშაოები რომლის დიდი ნაწილიც დასრულდა.

ვაკის რაიონის გამგეობას მიკუთვნებულ კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი: 02 09 14) ქვეპროგრამაში გამწვანებული ტერიტორიების მოვლა პატრონობის ღონისძიებაში დაგეგმილთან შედარებით საჭიროა დამატებით სამუშაოების განხორციელება, რისთვისაც მეორე კვარტალში საქონელი და მომსახურების მუხლში დამატებით სჭირდებათ 300 000 ლარი, ამავე ქვეპროგრამაში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში

კი სკვერების კაპიტალური მოწყობის ღონისძიებაში დამატებითი სამუშაოებისათვის მეორე კვარტალში სჭირდება 600 000 ლარის გადმოტანა, აღნიშნული თანხების გადმოტანა ხორციელდება მესამე კვარტლიდან. სამგორის რაიონის გამგეობა წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ რაიონის ტერიტორიაზე საგზაო და ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, გამოყოფილი თანხები არ არის საკმარისი 6 თვეში შემოსული შესრულებული სამუშაოს დასაფინანსებლად რის გამოც, მეორე კვარტლის გეგმას ემატება 913743 ლარი.

დაგეგმილი ღონისძიებების ხელშესაწყობად პროგრამის „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 05 01) ასიგნებების ფარგლებში კვარტალში არსებული რესურსი არ არის საკმარისი, რაც ხელს შეუშლის დედაქალაქში კულტურული პროცესების უწყვეტობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაბამისად კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მოთხოვნით, იზრდება „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 05 01) ასიგნებების II კვარტლის „სუბსიდიის“ მუხლი-500 000 ლარით, შესაბამისად IV კვარტლის „სუბსიდიის“ მუხლის შემცირების ხარჯზე.

დაგეგმილთან შედარებით მეტი რაოდენობის ბენეფიციარების დაფიქსირებით გამოწვეული საჭიროებიდან გამომდინარე, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მოთხოვნით იზრდება: „დაავადებათა სკრინინგი“ ქვეპროგრამის (კოდი 06 01 02), მეორე კვარტლის ბიუჯეტი 50 000 ლარით, „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია“ ქვეპროგრამის (კოდი 06 01 06), მეორე კვარტლის ბიუჯეტი 280 000 ლარით, „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება“ ქვეპროგრამის (კოდი 06 01 07), მეორე კვარტლის ბიუჯეტი 140 000 ლარით, და „ტრანსპლანტაცია“ ქვეპროგრამის (კოდი 06 01 13 მეორე კვარტლის ბიუჯეტი 500 000 ლარით, ამავე ქვეპროგრამების მე-4 კვარტლის ბიუჯეტის იგივე თანხით შემცირების ხარჯზე.

საერთო ჯამში გადასახდელების მეორე კვარტლის გეგმა იზრდება 5793478 ლარით და დაბალანსება ხდება მეორე კვარტლის შემოსავლების ზრდისა და ნაშთის ცვლილების ხარჯზე.

მომხრე-7 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურები, ასევე რაიონული გამგეობები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა სერგო ბირკაძემ

მოისმინეს: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში . კერძოდ, მითითებული დადგენილებით დამტკიცებული წესის 22-ე მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:

იმ შემთხვევაში, თუ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით დადებული შესაბამისი ხელშეკრულების პირობას წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის (ან მის მიერ განსაზღვრული სხვა პირებისათვის) საცხოვრებელი ფართების საკუთრების უფლებით გადაცემა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია, მყიდველის სასარგებლოდ უარი თქვას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ქონების ნაწილის საკუთრებაში მიღებაზე, მყიდველის მიერ, საკუთარი ხარჯით, დარჩენილი გადასაცემი ფართის შესაბამისი ბინა-ერთეულების რემონტის (მათ შორის, ბინაში/ფართში შეყვანილი ცენტრალური კომუნიკაციების (წყალი, კანალიზაცია, ელექტროენერგია, გაზი) დგარები მრიცხველის მონტაჟის ჩათვლით) უზრუნველყოფის მიზნით, რა შემთხვევაშიც, თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ მყიდველისთვის გადაცემული ქონების საერთო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მყიდველის მიერ განსახორციელებელი

რემონტის საერთო ღირებულებას. ამ პუნქტის მიზნებისთვის, მყიდველისათვის გადაცემული ქონების ღირებულება განისაზღვრება არანაკლებ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან მხარეთა წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული წესით მომზადებული საექსპერტო/აუდიტორული დასკვნით დადგენილი საბაზრო ფასით, ხოლო რემონტის ღირებულება და სტანდარტი დადგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ შესაბამისად.“

მომხსენებელის განმარტებით, თბილისის მუნიციპალიტეტი ახორციელებს არაერთ სოციალურ პროექტს, სადაც მუნიციპალიტეტს ნაკისრი აქვს გადასაცემი ფართისთვის საჭიროების შემთხვევაში რემონტის ჩატარების ვალდებულება. ზემოაღნიშნული უფლებამოსილება, თბილისის მუნიციპალიტეტს აძლევს ფართო შესაძლებლობას, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება განახორციელოს თავისივე ქონების რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების გზით და ამასთან, აღნიშნული უფლებამოსილების გაწერა დადგენილებაში, ხელს შეუწყობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი სხვადასხვა სოციალური პროექტის ეფექტურად წარმართვას.

მომხრე-6 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-მიხეილ კაკაურიძე

გადაწყდა: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მრევლიშვილის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.165) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მრევლიშვილის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.165) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა 2 პირს (2 ოჯახს). აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 82.16 კვ.მ ფართი

შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ ზემოაღნიშნული პირები ოჯახებთან ერთად 2012 წლიდან ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მრევლიშვილის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.165) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, უცნობ გმირთა ქუჩა N57-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.21.001.229) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, უცნობ გმირთა ქუჩა N57-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.21.001.229) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა 6 პირს (6 ოჯახს). აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 156.96 კვ.მ ფართი

შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმით დასტურდება, ეს პირები 1993 წლიდან ოჯახებთან ერთად ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, უცნობ გმირთა ქუჩა N57-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.21.001.229) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N5-სა და კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდები: N01.16.09.001.001 და N01.16.09.001.020) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N5-სა და კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.001 და N01.16.09.001.020) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა 2 პირს (2 ოჯახს). აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 200.06 კვ.მ ფართი

შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ აღნიშნული პირები 13-15 წელია ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N5-სა და კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდები: N01.16.09.001.001 და N01.16.09.001.020) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ბუაჩიძის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.003.029) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ბუაჩიძის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.003.029) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა 5 პირს (5 ოჯახს) . აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ - 390.29 კვ.მ

შსს-ს ცნობებით და მოწმეების დასტურით დგინდება, რომ ეს პირები მითითებულ მისამართზე ოჯახებთან ერთად ცხოვრობენ 2000 წლიდან.

მომხრე-7 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, ბუაჩიძის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.003.029) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.010.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N73 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.010.006.01.564) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, მოხსენებით, „ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.010.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 13 დეკემბრის N46.12.908 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N73 განკარგულებების საფუძველზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ალიკო გურჩიანისთვის ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა N10-ში, მე-5 სართულზე არსებული 7,44 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.16.02.010.006.01.564) საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. ამასთან, მითითებული განკარგულებების შესაბამისად, სააგენტოსა და აღნიშნულ პირს შორის 2018 წლის 2 თებერვალს გაფორმდა „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება და 2019 წლის 21 აგვისტოს სააგენტოს მიერ გაიცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა №3-4832 უძრავი ქონებაზე, მდებარე: ქალაქი თბილისი, აჭარის ქუჩა N10, 7,44 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 01.16.02.010.006.01.564).

ამასთან, აღნიშნული უფლების დამდგენი დოკუმენტაცია მოქალაქის მიერ საჯარო რეესტრში წარდგენილ იქნა მოგვიანებით. საჯარო რეესტრმა შეაჩერა სარეგისტრაციო წარმოება და განმარტა, რომ განმცხადებლის მიერ წარსადგენია კორექტირებული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის წარდგენა, ვინაიდან მარეგისტრირებული ორგანოს მიერ საქმეში არსებული ყველა დოკუმენტაციის / ინფორმაციის შესწავლისა და ურთიეთშეჯერების შედეგად დადგინდა, რომ რეგისტრირებული მონაცემების მიხედვით, განცხადებით მოთხოვნილი უძრავი ქონების ფართი იყო 8,01 კვ.მ, ხოლო წარდგენილ დოკუმენტაციაში მითითებული იყო 7,44 კვ.მ, რაც ურთიერთშეუსაბამოა.

სააგენტოს მიერ გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობაში მითითებული კვადრატულობა არ ემთხვევა უძრავი ქონების დაზუსტებულ კვადრატულობას.

